გაკვეთილი #1: რა არის ფული?

50 წთ

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები იმსჯელებენ ფულის დანიშნულების შესახებ და გაეცნობიან საქართველოს ეროვნული ვალუტის - ლარის ბანკნოტებსა და მონეტებს.

გაკვეთილის მიზნები

- მოსწავლეები იაზრებენ ფულის მნიშვნელობას და ფულს, როგორც გაცვლის საშუალებას;
- მოსწავლეები ეცნობიან ლარის ბანკნოტებსა და მონეტებს;
- მოსწავლეები მსჯელობენ, რისი ყიდვა შეიძლება ფულით

საჭირო მასალები

- ბურთი
- ფერადი ფანქრები, მაკრატლები
- წებო
- დანართი - მონეტები
- დანართი - ბანკნოტები
- დანართი - იყიდი და ვერ იყიდი ფულით
- დანართი - იყიდი და ვერ იყიდი ფულით - ბარათები (სურვილისამებრ)
- დანართი - „დახატე შენი ბანკნოტი“
- ფერადი პრინტერი მასალების დასაბეჭდად

მომზადება

- ამობეჭდეთ და გამოჭერით ბანკნოტებისა და მონეტების დანართების რამდენიმე ასლი ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს ერთი ბანკნოტი და ერთი მონეტა შეხვდეს. ბანკნოტების/ მონეტების წინა და უკანა მხარე შეაწებეთ ერთმანეთს ისე, რომ ნამდვილ ფულს დაემსგავსოს.
- ამობეჭდეთ და გააკარით ორ კედელზე (ან ერთმანეთის დაშორებით) დანართი - იყიდი და ვერ იყიდი ფულით.
- ამობეჭდეთ და გამოჭერით ბარათები დანართიდან - იყიდი და ვერ იყიდი ფულით (სურვილისამებრ)
- ამობეჭდეთ დანართი - „დახატე შენი ბანკნოტი“ თითოეული მოსწავლისთვის

სასარგებლო რესურსები

- საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი - ქართული ფული - https://nbg.gov.ge/georgian-money
- ბროშურა - „მოგზაურობა ფულის სამყაროში“

15 წთ

მასალა:
ბურთი

დისკუსია - ფულის მნიშვნელობა

- დასვით მოსწავლეები წრიულად და აუხსენით, რომ დღეს ფულზე ისაუბრებთ. საინტერესოა, რა იციან მათ ფულის შესახებ. უთხარით, რომ თქვენ დაუსვამთ კითხვებს, მათ კი ამ დროს ერთმანეთს ბურთი უნდა გადაუგდონ. უპასუხებს ის მოსწავლე, რომლის ხელშიც აღმოჩნდება ბურთი. ეცადეთ, ერთ კითხვაზე რამდენიმე მოსწავლისგან მიიღოთ პასუხი.

- **კითხვები დისკუსიისთვის:** რა არის ფული? როგორ გამოიყურება ფული? რაში გვჭირდება ფული? რას ვყიდულობთ ფულით? (მაღაზიაში რომ შედიხართ, რას ყიდულობთ?) ქაღალდიც შეიძლება იყოს ფული? რით განსხვავდება ფული ჩვეულებრივი ქაღალდისგან? საიდან გვაქვს ფული? (როგორ ვშოულობთ ფულს?) როგორ ვიხდით მაღაზიაში ნივთის საფასურს?

დამატებითი ინფორმაცია:
ფული არის ის, რითიც ვყიდულობთ ნივთებს. მაგალითად, ფულით ვყიდულობთ სურსათს სუპერმარკეტში, ვყიდულობთ სათამაშოებს, ტანსაცმელს, წიგნებს და ა.შ. ფულით ასევე ვიხდით შუქის, წყლის, გაზის გადასახადებს, ტრანსპორტის საფასურს.

მოკლედ, ფულით ვყიდულობთ სხვადასხვა პროდუქტს ან მომსახურებას. (პროდუქტი არის ყველაფერი ის, რითიც ჩვენ ჩვენს საჭიროებებს ვიკმაყოფილებთ. თქვენ შეგიძლიათ შეეხოთ, დაინახოთ, მიირთვათ, დალიოთ ან ითამაშოთ პროდუქტით. მომსახურება კი არის ის, რასაც სხვა ადამიანები აკეთებენ ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.)

ფული დღეს არის ქაღალდის ფულის, ანუ ბანკნოტების სახით და ასევე, ხურდა ფულის, ანუ მონეტების სახით. ფული ჩვეულებრივი ქაღალდისგან განსხვავდება იმით, რომ მას აქვს ღირებულება - ფულს ყველა მიიღებს, როცა რაიმეს საფასურის გადახდა გვინდა, რადგან შემდეგ ეს ადამიანი ასევე გამოიყენებს ამ ფულს სხვა რამის საყიდლად.

ფული, გარდა ქაღალდის ფულისა და მონეტებისა, დღეს ელექტრონული ფორმითაც არსებობს და საბანკო ბარათებზე ინახება. მაგალითად, მაღაზიაში შოკოლადის საფასური შეიძლება გადავიხადოთ როგორც ნაღდი ფულით, ანუ ქეშით, ანუ ბანკნოტებითა და მონეტებით, ასევე ბარათითაც. ბარათით გადახდის დროს ბარათიდან ჩვენი ფული „მიდის“, იხარჯება. ბარათით ბანკომატიდან შეიძლება ნაღდი ფულიც გამოვიტანოთ.

ფული შრომით გამოიმუშავება.

10 წთ

მასალა:
წინასწარ გამოჭრილი მონეტები და ბანკნოტები დანართებიდან; წებო

ინტერაქტიული სავარჯიშო - ქართული ბანკნოტები და მონეტები

- დაამზადეთ ლარის სათამაშო ბანკნოტები და მონეტები დანართების გამოყენებით: ამობეჭდეთ, გამოჭერით და წინა და უკანა მხარე შეაწებეთ ერთმანეთს.
- დასვით მოსწავლეები წრეზე და თითოეულს დაურიგეთ თითო ბანკნოტი და თითო მონეტა. უთხარით, რომ ეს ნამდვილი ფულის ასლია, რომელსაც სასწავლო მიზნებით გამოიყენებთ. მიეცით საშუალება, კარგად დაათვალიერონ მონეტები და ბანკნოტები.

- ამის შემდეგ კი დაუსვით მოსწავლეებს კითხვები: რა ჰქვია ქართულ ფულს? (ლარი) რას ჰქვია მონეტებს? (თეთრი) ვინ და რა არის გამოსახული ქართულ ფულზე?
- მოსწავლეებმა უნდა დაათვალიერონ მათთვის დარიგებული ფულის ნიშნები და ამის მიხედვით გააზიარონ პასუხები. მისაღებია ზოგადი პასუხებიც - მაგ., ცნობილი ადამიანები, მოვლენები, სიმბოლოები, ასევე კონკრეტული პასუხებიც - მაგ., ილია ჭავჭავაძე, ნიკო ფიროსმანის ნახატი, ბორჯღალი, საქართველოს გერბი და ა.შ.

დამატებითი ინფორმაცია:
ლარი არის საქართველოს **ეროვნული ვალუტა.** ქვეყნებს აქვთ საკუთარი ვალუტა და წასვლისას შესაბამისი ვალუტა უნდა გამოიყენოთ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში ვალუტა - დოლარია, ევროპის 20 ქვეყანაში - ევრო, თურქეთში ლირა და ა.შ.

სხვადასხვა ქვეყნის ფულზე და მათ შორის ლარის ბანკნოტებზეც გამოსახულია ცნობილი ადამიანები, ისტორიული მოვლენები, ნივთები, სიმბოლოები. დატანილია სახელმწიფო გერბი. ასევე საფასურის აღმნიშვნელი რიცხვი, მაგ., 5 ლარი, 10 ლარი და ა.შ. ასევე დამცავი ნიშნები, რომელიც ფულს გაყალბებისგან იცავს.

5 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე - ივანე ჯავახიშვილი და მის მიერ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. უკანა მხარეს კი - ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატები „კალო“ და „მეთევზე წითელ პერანგში“.

10 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე - აკაკი წერეთელი, ნაწყვეტი მისივე ლექსიდან „მერცხალი“, უკანა მხარეს კი - ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ტილო - „იმერეთი - დედაჩემი“

20 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე - ილია ჭავჭავაძე, გაზეთ „ივერიას“ გამომცემლობა, უკანა მხარეს კი - ძველი თბილისის პანორამა, ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ქანდაკება.

50 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია მეფე თამარი, სამონასტრო კომპლექსი ვარძია, უკანა მხარეს კი - XII საუკუნის ხელნაწერთა კრებულიდან ზოდიაქოს - მშვილდოსნის მინიატურა და ხელნაწერი.

100 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია ქართველი პოეტი - შოთა რუსთაველი, ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნიდან“, უკანა მხარეს კი - თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ნაწყვეტი საქართველოს ჰიმნიდან.

200 ლარი - წინა მხარეს გამოსახულია საქართველოს ეროვნული გმირი - ქაქუცა ჩოლოყაშვილი, უკანა მხარეს კი - სოხუმის ხედი ქართული და აფხაზურ ენოვანი წარწერით „სოხუმი აფხაზეთი“.

რაც შეეხება **მონეტებს,** წინა მხარეს საფასური - ნომინალის რიცხვია გამოსახული, უკანა მხარეს კი ბორჯღალი (მზის სიმბოლო) ან გერბი. მონეტები სხვადასხვა ლითონისგან მზადდება, მაგალითად, 5. 10, 20 და 50 თეთრიანი უჟანგავი ფოლადისგან, 1 ლარიანი სპილენძ-ნიკელისგან, 2 ლარიანის შიდა რკალი კი სპილენძ-ნიკელ-ალუმინისგან.

10 წთ

სავარჯიშო „სირბილში“ - რისი ყიდვა შეიძლება ფულით?

მასალა:

წინასწარ კედელზე გაკრული დანართი - იყიდი და ვერ იყიდი ფულით;

გამოჭრილი ბარათები - იყიდი და ვერ იყიდი ფულით (სურვილისამებრ)

- ამობეჭდეთ დანართი - იყიდი და ვერ იყიდი ფულით. ერთ კედელზე გააკარით ფურცელი, რომელსაც აწერია - შეიძლება იყიდო ფულით, მეორე კედელზე კი - ფურცელი, რომელსაც აწერია - ვერ იყიდი ფულით.
- აუხსენით მოსწავლეებს, რომ თქვენ დაასახელებთ სიტყვას: თუ ამ რაღაცის ყიდვა შესაძლებელია ფულით, მაშინ მოსწავლეებმა სწრაფად უნდა მიირბინონ კედელთან, რომელსაც აწერია - შეიძლება იყიდო ფულით. აჩვენეთ ეს კედელი/წარწერა. ხოლო თუ ამ რაღაცას ფულით ვერ იყიდი, მაშინ მოსწავლეებმა უნდა მიირბინონ კედელთან, რომელსაც აწერია - ვერ იყიდი ფულით. აჩვენეთ ეს კედელიც.
- თქვენ ასახელებთ სხვადასხვა სიტყვებს, მოსწავლეები კი სწრაფად მირბიან შესაბამის წარწერასთან. თუ მოსწავლეებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, კითხეთ თითოეულ მხარეს, თუ რატომ ფიქრობენ ასე.
- სიტყვები: შოკოლადი, მეგობრობა, ეზოში თამაში, ბანანი, თოჯინა, სიყვარული, გასართობ ცენტრში გართობა, ბურთი, სუფთა ჰაერი, კარგი ამინდი, სათამაშო, თავისუფლება, ბედნიერება, პიცა, ტელეფონი, ტანსაცმელი, დრო, ძილი
- დამატებით, სიტყვების დასახელებასთან ერთად, შეგიძლიათ წინასწარ გამოჭრათ და აჩვენოთ მოსწავლეებს შესაბამისი ბარათები, თამაშის შემდეგ კი ეს ბარათები მიაკრათ შესაბამისი წარწერების ქვეშ.

10 წთ

შემოქმედებითი სავარჯიშო - დახატე შენი ფული

მასალა:

თითოეული მოსწავლისთვის

დანართი „დახატე შენი ბანკნოტი“;

ფერადი ფანქრები, მაკრატლები

- აუხსენით მოსწავლეებს, რომ ახლა ისინი საკუთარ ფულს შექმნიან. გაიხსენონ, რა იყო გამოსახული ლარის ბანკნოტებზე, რომლებიც მათ უკვე დაათვალიერეს და ამავე დროს, მოიფიქრონ საკუთარი დიზაინი - მოიფიქრონ, ვის ან რას დაახატავდნენ თავიანთ ბანკნოტს და ეს მთავარი ნახატი ჩახატონ წრეში, შემდეგ მოიფიქრონ, რა ელემენტებით, სიმბოლოებით და ფერებით გააფორმებდნენ ამ ბანკნოტს, რა ღირებულების იქნებოდა (ნომინალის რიცხვი) და ა.შ. ბოლოს კი გამოჭრან მათ მიერ დახატული ბანკნოტი.
- მოსწავლეების მიერ გამოჭრილი ბანკნოტები შეაგროვეთ და გამოაკარით კლასში.

5 წთ

შეჯამება

მასალა:

ბურთი

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ადგნენ ფეხზე და შეკრან წრე, შემდეგ კი ბურთი გადაუგდონ ერთმანეთს. მან, ვის ხელშიც აღმოჩნდება ბურთი, უნდა დაასახელოს ერთი რამ, რაც ამ გაკვეთილზე ისწავლა.